პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 85 (20731) — სამშაბათი, 10 აპრილი, 1990 წელი. — ფასი 3 კაპ.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონი

სსრ კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკის გასვლასთან დაკავშირებულ საკითხთა გადაწყვეტის წესის შესახებ

მუხლი 1. სსრ კავშირის კონსტიტუციის 72-ე მუხლის შესაბამისად სსრ კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკის გასვლასთან დაკავშირებულ საკითხთა გადაწყვეტის წესს განსაზღვრავს ეს კანონი.

მუხლი 2. სსრ კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკის გასვლის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება მოკავშირე რესპუბლიკის ზალხთა თავისუფალი ნება-სურვილის გამოხატვით რეფერენდუმის (სახალხო კენჭისყრის) გზით, გადაწყვეტილებას რეფერენდუმის მოწყობის შესახებ იღებს მოკავშირე რესპუბლიკის უზენაესი საბჭო საკუთარი ინიციატივით ან მოთხოვნით, რომელსაც ხელს აწერს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ და სსრ კავშირის კანონმდებლობის თანახმად ხმის უფლების მქონე სსრ კავშირის მოქალაქეთა მეათედი ნაწილი.

რეფერენდუმი ეწყობა რეფერენდუმის შესახებ სსრ კავშირის კანონის, მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკის კანონით განსაზღვრული წესით თუ მათი დებულებები არ ეწინააღმდეგება ამ კანონს.

რეფერენდუმი ეწყობა ფარული კენჭისყრით სსრ კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკის გასვლის საკითხის დაყენების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებიდან არაუადრეს ექვსი და არაუგვიანეს ათი თვის შემდეგ.

რეფერენდუმის მონაწილეობენ სსრ კავშირიდან რესპუბლიკის გასვლის საკითხის დაყენების მომენტისათვის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები და სსრ კავშირის კანონმდებლობის თანახმად ხმის უფლების მქონე სსრ კავშირის მოქალაქეები.

კენჭისყრის მოწყობის დროს რაიმე აგიტაცია რეფერენდუმზე გამოტანილი საკითხის გამო არ დაიშვება.

მუხლი 3. მოკავშირე რესპუბლიკაში, რომლის შემადგენლობაში არიან ავტონომიური რესპუბლიკები, ავტონომიური ოლქები და ავტონომიური ოკრუგები, რეფერენდუმი ეწყობა ცალკე თითოეულ ავტონომიაში. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ფორმირებების ხალხებს უნარჩუნდებათ სსრ კავშირში ან გამავალ მოკავშირე რესპუბლიკაში ყოფნის საკითხის დამოუკიდებელი გადაჭრის, აგრეთვე თავისი სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი სტატუსის საკითხის დაყენების უფლება.

მოკავშირე რესპუბლიკაში, რომლის ტერიტორიაზე არის ეროვნული ჯგუფების კომპაქტური ბინადრობის ადგილები, რომლებიც შეადგენენ მოცემული ადგილის მოსახლეობის უმრავლესობას, რეფერენდუმის შედეგების განსაზღვრისას ამ ადგილებში კენჭისყრის შედეგები აღირიცხება ცალკე.

მუხლი 4. სსრ კავშირიდან გასვლის შესახებ რეფერენდუმის ორგანიზაციისათვის, რეფერენდუმის მოწყობის ვადის განსაზღვრისა და მისი შედეგების შეჯამებისათვის მოკავშირე რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ქმნის კომისიას ყველა დაინტერესებული მხარის, მათ შორის ამ კანონის მე-3 მუხლის პირველ და მეორე ნაწილებში ნახსენები მხარეების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

მუხლი 5. სსრ კავშირიდან გასვლის შესახებ რეფერენდუმის მრმზადების, მოწყობისა და შედეგების განსაზღვრის დროს მოკავშირე რესპუბლიკის ხალხთა ნება-სურვილის გამოხატვის სრული თავისუფლების უზრუნველყოფად სსრ კავშირის უზენაესი საბჭო მოკავშირე რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსთან შეთანხმებით წყვეტს საკითხს სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ფორმირებების უფლებამოსილ წარმომადგენელთა მეთვალყურეობად მის ტერიტორიაზე ყოფნის შესახებ. სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს შეუძლია, თუ საჭიროდ მიიჩნევს, რესპუბლიკის ტერიტორიაზე კენჭისყრის მოწყობის დროისათვის მოიწვიოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენლები.

მუხლი 6. სსრ კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკის გასვლის შესახებ გადაწყვეტილება რეფერენდუმის მეშვეობით მიღებულად მიიჩნევა, თუ მას ხმა მისცა სსრ კავშირიდან მისი გასვლის საკითხის დაყენების მომენტისათვის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ და სსრ კავშირის კანონმდებლობის თანახმად ხმის უფლების მქონე სსრ კავშირის მოქალაქეთა სულ ცოტა ორმა მესამედმა.

რეფერენდუმის შედეგებს განიხილავს მოკავშირე რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

მოკავშირე რესპუბლიკაში, რომლის შემადგენლობაში არიან ავტონომიური რესპუბლიკები, ავტონომიური ოლქები, ავტონომიური ოკრუგები ან ამ კანონის მე-3 მუხლის მეორე ნაწილში ნახსენები ეროვნული ჯგუფების კომპაქტური ბინადრობის ადგილები, რეფერენდუმის შედეგებს განიხილავს მოკავშირე რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსთან და სახალხო დეპუტატთა შესაბამის საბჭოებთან ერთად.

მუხლი 7. მოკავშირე რესპუბლიკის უზენაესი საბჭო სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს წარუდგენს რეფერენდუმის შედეგებს. მოკავშირე რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, რომლის შემადგენლობაში არიან ავტონომიური რესპუბლიკები, ავტონომიური ფორმირებები ან ამ კანონის მე-3 მუხლის მეორე ნაწილში ნახსენები ეროვნული ჯგუფების კომპაქტური ბინადრობის ადგილები, სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს წარუდგენს რეფერენდუმის შედეგებს თითოეული ავტონომიური რესპუბლიკის, თითოეული ავტონომიური ფორმირების ან ეროვნული ჯგუფების კომპაქტური ბინადრობის ადგილის მიხედვით სრულმწიფო ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების დასკვნებითა და წინადადებებითურთ. თუ დადგინდება, რომ რეფერენდუმი მოუწყია კანონის შესაბამისად, სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს საკითხი შეაქვს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის განსახილველად.

რეფერენდუმის მოწყობის დროს კანონის დარღვევის შემთხვევაში სსრ კავშირის უზენაესი საბჭო სამი თვის ვადაში ნიშნავს განმეორებითს რეფერენდუმს რესპუბლიკაში, ან მის ნაწილში, ან ავტონომიურ ფორმირებაში, ან ამ კანონის მე-3 მუხლის მეორე ნაწილში ნახსენები ეროვნული ჯგუფების კომპაქტური ბინადრობის ადგილას.

მუხლი 8. სსრ კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკის გასვლის შესახებ რეფერენდუმის შედეგებსა და დაინტერესებული მხარეებისაგან მიღებულ წინადადებებს სსრ კავშირის უზენაესი საბჭო ერთი თვის ვადაში უგზავნის ყველა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს, აგრეთვე ავტონომიური ფორმირებების სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს სსრ კავშირიდან შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკის შესაძლო გასვლის ფაქტიდან თითოეული მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკისათვის. ავტონომიური ფორმირებისათვის წარმოშობილი შედეგების შესასწავლად და შესაფასებლად.

მუხლი 9. სსრ კავშირიდან გასვლის საკითხზე მოკავშირე რესპუბლიკაში რეფერენდუმის შედეგებს, აგრეთვე მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების, ავტონომიური ოლქებისა და ოკრუგების სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების აზრს ამის თაობაზე განიხილავს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობა. გამავალი რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსთან შეთანხმებული სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს წარდგენით სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობა აწესებს გარდამავალ პერიოდს, რომელიც არ აღემატება ხუთ წელიწადს, რომლის განმავლობაში უნდა გადაწყდეს სსრ კავშირიდან რესპუბლიკის გასვლასთან დაკავშირებით წარმოშობილი საკითხები.

გარდამავალ პერიოდში გამავალი რესპუბლიკის ტერიტორიაზე თავის მოქმედებას ინარჩუნებს სსრ კავშირის კონსტიტუცია და სსრ კავშირის კანონები.

მუხლი 10. იმ შემთხვევაში, თუ რეფერენდუმის შედეგების გამო მიღებული არ არის გადაწყვეტილება სსრ კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკის გასვლის შესახებ, ამ საკითხზე ახალი რეფერენდუმი შეიძლება მოეწყოს წინა რეფერენდუმის მოწყობის მომენტიდან არაუადრეს ათი წლის შემდეგ.

მუხლი 11. სსრ კავშირის, გამავალი და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქების, ავტონომიური ოკრუგების ან ამ კანონის მე-3 მუხლის მეორე ნაწილში ნახსენები ეროვნული ჯგუფების უფლებებისა და ინტერესების უზრუნველყოფის მიზნით სსრ კავშირიდან რესპუბლიკის გასვლასთან დაკავშირებით წარმოშობილი საკითხების გადაჭრისას სსრ კავშირის უზენაესი საბჭო, მოკავშირე რესპუბლიკების უზენაესი საბჭოები და გამავალი რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო გარდამავალი პერიოდისათვის ქმნიან შემათანხმებელ კომისიებს.

მუხლი 12. გარდამავალ პერიოდში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გამავალი რესპუბლიკის მთავრობის მონაწილეობით ამზადებს წინადადებებს საკითხებზე, რომლებიც ეხება სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვარს, აგრეთვე გამავალი რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ სამხედრო ობიექტებსა და სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ნაწილებს, და შეაქვს ისინი სსრ კავშირის პრეზიდენტისა და სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს განსახილველად, რომლებიც შემდეგ განსახილველად გადაეცემა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობას.

მუხლი 13. გამავალი რესპუბლიკა მოვალეა დაიცვას საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და ნორმები, აგრეთვე იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებში დამკვიდრებული ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, რომელთა მონაწილეა სსრ კავშირი. სსრ კავშირის მიერ დადებულ შესაერთებლად ღია მრავალმხრივ ხელშეკრულებებში გამავალი რესპუბლიკის მონაწილეობის საკითხი წყდება შესაბამისი ხელშეკრულებით დადგენილი წესების თანახმად. სსრ კავშირის მიერ დადებული და სსრ კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკის გასვლის მომენტისათვის ძალაში მყოფი მრავალმხრივი და ორმხრივი ხელშეკრულებანი განაგრძობს მოქმედებას გასული რესპუბლიკის მიმართ, თუ მიღწეული არ იქნება სხვაგვარი მორიგება.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, მას შემდეგ, რაც განიხილავს და მოაგვარებს ყველა საკითხს, რომლებიც უკავშირდება მოკავშირე რესპუბლიკის გასვლის გამო საერთაშორისო ხელშეკრულებებში სსრ კავშირის მონაწილეობას, თავის დასკვნას წარუდგენს სსრ კავშირის პრეზიდენტსა და სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს.

მუხლი 14. გარდამავალ პერიოდში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ფორმირებების სახელმწიფო მმართველობის ორგანოები განიხილავენ და წყვეტენ საკუთრებისა და მატერიალურ-ფინანსური ანგარიშსწორების საკითხებს.

ერთი მხრივ, გამავალ რესპუბლიკასა და, მეორე მხრივ, სსრ კავშირს, აგრეთვე სხვა მოკავშირე რესპუბლიკებს, ავტონომიურ რესპუბლიკებს, ავტონომიურ ფორმირებებსა და ამ კანონის მე-3 მუხლის მეორე ნაწილში ნახსენებ ეროვნულ ჯგუფებს შორის ურთიერთობაში გარდამავალი პერიოდის მანძილზე უნდა გადაწყდეს შემდეგი საკითხები:

1) გარკვეულია რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული საერთო-საკავშირო საკუთრების (მრეწველობის საბაზო დარგების, კოსმოსური კვლევის, ენერგეტიკის, კავშირგაბმულობის, საზღვაო, სარკინიგზო და საჰაერო ტრანსპორტის საწარმოებისა და კომპლექსების, საყოფაცხოვრებო, ფეხბურთის, ფარიკაობის, ნაკრებ გუნდებისა, ეროვნული ანსამბლებისა, ეროვნული ბალეტებისა, ეროვნული ორკestრებისა, ეროვნული ბიბლიოთეკებისა, ეროვნული მუზეუმებისა, ეროვნული ბიბლიოთეკებისა, ეროვნული ბიბლიოთეკებისა, ეროვნული ბიბლიოთეკ

ფოთი: რეალობა და პერსპექტივა

3. როცა მიზანი ნათელია

ოცდაათ წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც საბჭოთა სატვირთო ავტომანქანებმა პირველად დაიწყეს რეგულარული ტვირთზიდვა საზღვარგარეთ, კერძოდ, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში. 1963 წლიდან კი მოსკოვისა და ლენინგრადის ავტოსაწარმოები შეუდგნენ ტვირთის გადატანას ევროპის სოციალისტურ ქვეყნებში, რამდენიმე საცდელი რეისი ფინეთსა და იტალიაშიც გაკეთდა.

მერე კონტაქტები და ტვირთის გადატანისა თუ მგზავრთა გადაყვანის გეოგრაფია ბევრად გაფართოვდა, რამაც, ცხადია, საგრძნობლად გაზარდა ავტოტრანსპორტელთა ამოცანებიც. ამის გათვალისწინებით 1968 წელს რსფსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროსთან შეიქმნა სპეციალიზებული ქვეგანყოფილება — საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის მთავარი სამმართველო „სოვტრანსავტო". შარშანწინ ეს სამსახური სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განკარგულებით საგარეო ვაჭრობის გაერთიანებად გარდაიქმნა. ამ საერთაშორისო მასშტაბით ერთობ აღიარებულ და ავტორიტეტულ უწყებაში, რომელსაც, სხვათა შორის, თ. ტატიშვილი ხელმძღვანელობს, შარშანდლამდე სამი გაერთიანება და მოსკოვის, ბრიანსკის, ვოროშილოვგრადის, კიშინიოვის, მინერალური წყლების, ბაქოსა და თერმეზის ავტოსატრანსპორტო საწარმოები შედიოდა.

ასეთი თუნდაც მცირე ექსკურსის შემდეგაც შესაძლოა ზოგიერთმა მაინც გაკვირვებით აიჩეჩოს მხრები და იკითხოს, რა კავშირი აქვს სხვა რესპუბლიკის სამინისტროსთან არსებულ გაერთიანებას, თუნდაც საკავშირო მნიშვნელობასას, წერილების სერიალთან, რომლის მიზანია მკითხველებს გააცნოს, თუ რისი გაკეთება შეუძლია ფოთს ხვალინდელი საქართველოსთვისო.

საქმე ის არის, რომ შარშანდელი თებერვლიდან ამ გაერთიანებაში შეიქმნა კიდევ ერთი, რიგით მერვე ავტოსატრანსპორტო საწარმო — „სოვავტო-ფოთი!"

მისი შექმნის იდეა ახალი არ არის და, იოლი შესაძლებელია, იგი არც აღნიშნული გაერთიანების მესვეურთ მოსვლოდეთ პირველებს აზრად. ამის თაობაზე ჯერ კიდევ სამი-ოთხი წლის წინათ გატაკეცებით გვესაუბრებოდა ფოთის საზღვაოსავაჭრო ნავსადგურის ამჟამინდელი უფროსი ვალერი გეგიძე. მაშინ ნავსადგურელები სერიოზულად ემზადებოდნენ თვითდაფინანსებისა და სრული სამეურნეო ანგარიშის პირობებში მუშაობისათვის (სხვათა შორის, ეს მათ რესპუბლიკაში ერთ-ერთმა პირველებმა 1987 წლის დასაწყისში გააკეთეს) და გულდასმითაც ეძიებდნენ ნებისმიერ რეზერვს, რომელიც ამ საქმეში წაადგებოდათ.

სწორედ მაშინ ახსენა მისმა თავკაცმა საზღვარგარეთის ქვეყნებთან, კერძოდ, ირანთან საავტომობილო ტვირთზიდვითი კავშირის დამყარების შესაძლებლობაც. მიახლოებით უკვე განგარიშებული გვაქვს, ჩვენც კარგ სარგებელს ვნახავთ და რესპუბლიკასაც დიდძალ შემოსავალს, მათ შორის ვალუტითაც, მივეცემთო, — გვითხრა.

მაგრამ ერთი ქართული ანდაზისა არ იყოს — „აკი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო", თითქმის სწორედ ისე მოხდა. წელიწადზე მეტია ეს საწარმო გაიხსნა და ევროპის ქვეყნებიდან ფოთის ნავსადგურში შემოსული ტვირთი „სოვავტო-ფოთის" სატვირთო მანქანებს ირანში, უფრო სწორად, ირანის საზღვრამდე მიაქვთ (თუ რატომ საზღვრამდე და არა, უშუალოდ ირანის ტერიტორიაზე, ამის შესახებ ქვემოთ მოგახსენებთ), მაგრამ დღემდე ამისგან განსაკუთრებული რამ ხეირი არც ფოთელებს უნახავთ და, მით უფრო, არც მთლიანად საქართველოს.

თუმცა ჯერჯერობით ამას გარკვეულწილად ერთგვარი გამართლებაც აქვს: საწარმო ახალი ჩამოყალიბებული, უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, ჯერაც ჩამოყალიბების პროცესშია. დღესდღეობით მისი დირექციაც კი ფოთის ჩაის კომბინატის შენობაშია შეხიზნული. სწორედ აქ შეეხვდით საწარმოს ახლადდანიშნულ მთავარ ინჟინერს დაზმირ კორკელიას (დირექტორი — მურად შაქარიშვილი მოსკოვში ყოფილა წასული ფონდების გამოყოფისა და დაპროექტების სამუშაოთა დასაჩქარებლად).

— რომ გითხრათ, ჩვენი საწარმო პერსპექტიულიაო, — თქვა მან, ეს კიდევ ყველაფერს არ ნიშნავს. გააჩნია, როგორ განვითარდება მოვლენები, უფრო სწორად, რანაირად წარვმართავთ მათ. თუ საქმე ჩვენთვის სასურველ კალაპოტში მოვაქციეთ, „სოვავტო-ფოთი", შესაძლოა ქალაქში ერთ-ერთი ყველაზე დიდრენტაბელური და ბომგებიანი საწარმოც გახდეს. მაშინ რესპუბლიკასაც ძალიან გამოვადგებით. ჩვენ, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, ხიდი ვართ, ხიდი საქართველოსა და უცხოეთის ქვეყნებს შორის. საქმე მარტო ის როდია, რომ ჩვენს შეზობელ სახელმწიფოებს — ირანსა თუ თურქეთს ევროპიდან მათთვის გამოგზავნილი სხვადასხვა ტვირთის შემოტანა ფოთის ნავსადგურის გვლით და ჩვენი ავტომანქანებით ურჩევნიათ, რადგან ეს კი გაცილებით იაფი უჯდებათ, ჩვენთვის კი კარგი შემოსავლის მომტანია. მთავარი ის არის, რომ, თუ საქმე აეწყო და მის მიმდინარეობას თავადვე, სხვათა ჩაურევლად და უდიქტატოდ წარვმართავთ, გვეყოლება ჩვენი მუდმივი წარმომადგენლები სხვადასხვა ქვეყანაში, როგორიც ეს „სოვტრანსავტოს" ჰყავს, მაშინ ფოთიდან, ვთქვათ, მარტო თეირანში კი არ წაგიღებთ ირანელთათვის სასურველ ტვირთს, არამედ იქიდანაც, ჩვენი წარმომადგენლების მეშვეობით, სხვა ქვეყნებშიც გადავზიდავთ საქონელს, რაც ბევრად გაზრდის სავალუტო შემოსავალს. თუმცა ეს მომავლის საქმეა, თანაც, ერთი შეხედვით და დღევანდელი პირობების გათვალისწინებით, საკმაოდ ფანტაზიორიც, მაგრამ ამისთვის უნდა ვიმზადოთ.

საამისოდ კი ძალიან ბევრი რამ არის გასაკეთებელი. უმთავრესი საზრუნავი, ცხადია, გახლავთ იმის მიღწევა, რომ „ჩვენი თავი ჩვენივე გვეყოფოდეს". თუმცა ამაზე რომელი ქართველი არ ოცნებობს! მანამდე კი საჭიროა საწარმოს მყარი და მტკიცე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, ისეთი რეფერიჟერატორები. წლეულს არც გაერთიანების სახსრებით არის გამიზნული მათი შემოტანა. რაც შეეხება ქალაქის ხელმძღვანელობას, იგი ძალიან გვეხმარება, სამრეწველო ზონისათვის გამოგვიყვეს 14 ჰექტარი ტერიტორია. მიმდინარეობს დაპროექტების სამუშაოები. დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს...

ასეთია მოკლედ ამ ახალჩამოყალიბებული, მაგრამ უდავოდ პერსპექტიული და საჭირო საწარმოს ერთ-ერთი ხელმძღვანელის მოსაზრებანი. რა შეიძლება დავუმატოთ მის ნათქვამს? უწინარესად ალბათ ის, რომ იგი უთუოდ სჭირდება ქალაქსაც და რესპუბლიკასაც. როგორც გვითხრეს, სსრ კავშირის საგარეო ეკონომიკური კავშირების სამინისტროს „საკტრანსტიტის" საკავშირო გაერთიანებას წლეულს ფოთის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგურთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ირანისათვის განკუთვნილი მილეონი ტონა ქვალდის, ხორცის, ხორბლის, ლითონის, შეფუთული ქიმიკატებისა თუ სხვა სახეობის ტვირთის მიწოდების თაობაზე. თუ სათანადო პირობები იქნა, მათი მოცულობა საგრძნობლად შეიძლება გაიზარდოს კიდეც.

ხოლო თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ „სოვტრანსავტოს" საკავშირო გაერთიანება „სოვავტო-ფოთის", თანამედროვე მოთხოვნებთან შედარებით საკმაოდ უვარგისი მანქანებითაც კი ირანისათვის გამიზნული ქვალდის გადასატანად გაკეთებულ ყოველ რეისში საბჭოთა ფულით 1428, ხოლო უცხოური ვალუტით 308 მანეთს ღებულობს, ალბათ დაგვეთანხმებით, რომ ეს საქმე ყოველმხრივ მომგებიანი და სასარგებლო.

ახლა ისიც ვნახოთ, „სოვტრანსავტოში" მოგების განაწილების როგორი წესი აქვთ დამკვიდრებული: გაერთიანება შესრულებული ტვირთგადაზიდვის სამუშაოების შედეგად მიღებული ვალუტის გარკვეულ ნაწილს, ანუ როგორც მისი მესვეურები ამტკიცებენ, შეთანხმებულ ოდენობას, გადაურიცხავს თავის ავტოსაწარმოებს, რომლებსაც შეუძლიათ თავიანთი შეხედულებისა და საჭიროებისამებრ გამოიყენონ იგი. ამასთანავე გაერთიანებას თავისი რომელიმე საწარმოს სავალუტო-ფონდის ხარჯზე შეუძლია შეუძინოს მას საჭირო საზღვარგარეთული მოწყობილობა (?!) კი, მაგრამ, საწარმოს ფული თუ ექნა შუამავალი რად სჭირდება, თვითონ ვერ იყიდიხო?—გაიკვირვებთ ალბათ, თუმცა ამაზე უარესიც რომ შეიძლება მოხდეს, ამას „სოვავტო-ფოთის" მაგალითიც ადასტურებს: საწარმომ შარშანდელი თებერვლიდან წლევანდელ პირველ თებერვლამდე 165,5 ათასი მანეთის უცხოური ვალუტა გამოიმუშავა, მაგრამ...

თუმცა დასკვნების გაკეთებას ნუ ვიჩქარებთ. მოდით, დროებით შევთანხმდეთ, რომ, რაკი საწარმო ახალია, ბევრი რამ უნდა აშენდეს და გაკეთდეს, ჯერჯერობით ნუ გამოვედეენებით ნურც საბჭოთა მანეთს და ნურც უცხოურ ვალუტას. ამას იმიტომ კი არ გთავაზობთ, რომ ღრმად გჯერა, ძითქოს „ცენტრს" ახლო მომავალში უზომო მადა ჩაუცხრება და თუნდაც სანახევროდ გაგიყოფს შენსავე ნამუშევარს.

არა, ეს „წუთშესვენება" უბრალოდ იმისთვის გთხოვეთ, მაგალითელო, რომ კიდევ ერთხელ ვთქვათ: თუ დამოუკიდებლად, საკუთარი განსჯით და ჭკუით მოქმედების უფლება და საშუალება მოგვეცა, ეს საწარმო, უფრო სწორად, საზღვარგარეთის ქვეყნებთან საქმიანი ურთიერთობის ამგვარი ფორმა, ჩვენი სამშობლოსათვის უთუოდ საჭირო, სასარგებლო და აუცილებელი გახდება.

მაშინ საშუალება გვექნება „საკტრანსტიტის" გაერთიანების მეშვეობით კი არა, უშუალოდ დავამყაროთ ეკონომიკური კავშირები საზღვარგარეთის სახელმწიფოებთან (იმას, თუ რამდენად და ყოველმხრივ სარგებლიანია მათთან უშუალოდ, „ცენტრის" გვერდის ავლით თანამშრომლობა, მოკლედ მოგითხრობთ ამ სერიალის ერთ წერილში, რომელიც ფოთის გემთმშენებელ-გემთშემკეთებელი ქარხნის კოლექტივის საქმიანობას მიეძღვნება), თავად მოვიებოთ გადასაზიდად ხელსაყრელი ტვირთიც, მისი მომავალი პატრონისა და ჩვენივე გამომუშავებული ფულით ჩვენივე შევიძინოთ საზღვარგარეთ საჭირო მანქანა-დანადგარებიც.

— თქვენს პირს შაქარი, ეს მართლაც კარგი საქმე იყოს, ნეტავ ყველგან და ყველაფერში თავისუფლად ვმოქმედებდეთ, მაგრამ მოუკრეფავში ვინ შეგიშვებსო, — ნაღვლიანად ჩაიჩურჩულა ალბათ ხელს ბევრი მკითხველი.

გარკვეულწილად ისინი ალბათ მართალიც იქნებიან. მაგრამ არც მთლად უიმედოდაა საქმე. ჯერ ერთი, კაცი იმედით ცოცხლობს და ოცნებას არასოდეს მოუკლავს, და მეორეც, როცა მიზანი ნათელია, მისკენ სწრაფვაც იოლდებაო, — უთქვამს ბრძენს. ასეთი წმინდა და ნათელი მიზანი კი, რომელიც ტაძრამდე უნდა მიგვიყვანოს, თითქმის ორი საუკუნეა ჯერ არ ჰქონია ქართველ ხალხს.

რუსლან რუსია,
კუკური ესაკია,
„კომუნისტის" სპეც. კორ.

სოფელი: რადიკალური რეფორმა

მარაგდელთა ფართო ნაბიჯები

სანარდო იჯარის სიკეთე. გაიზარდა წარმოება და რეალური ხელფასი. სოფლები იცვლიან იერ-სახეს. მიტოვებულ კერებზე ცეცხლი ინთება: სვანეთის ახალი სავანე. კერძო ჯოგში მომრავლდა პირუტყვი. მომავალ ხუთწლედში უკეთესი წარმატების მოსაპოვებლად

თეთრი წყაროს რაიონის მარაბდის მებოცვრეობის საბჭოთა მეურნეობის შრომითმა კოლექტივმა გასული სამეურნეო წელი 1.502 ათასი მანეთი მოგებით დაამთავრა. აქედან 492 ათასი მანეთი წმინდა მოგებაა. თავისი არსებობის მანძილზე მეურნეობა წმინდა მოგებას მხოლოდ სამი უკანასკნელი წლის განმავლობაში აღწევს. ერთი მუშის საშუალო თვიურმა გამომუშავებამ 526 მანეთი შეადგინა, ხალხი შეძლებულად ცხოვრობს.

რენტაბელობის მატებას, მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გაზრდას ხელი შეუწყო მეურნეობის ყველა დარგში სანარდო იჯარის დანერგვამ. თავდაპირველად დაინერგა კოლექტიური და საოჯახო იჯარა. შრომის საბოლოო შედეგებით დაინტერესებამ შრომითი კოლექტივის ენერგიის მოზღვავება გამოიწვია და შედეგმაც არ დააყოვნა. მეურნეობამ 1987 წელს პირველად მიიღო 128 ათასი მანეთი წმინდა მოგება. შარშანწინ ეს თანხა 482 ათას მანეთამდე გაიზარდა, შარშან კი წინა წლისას 10 ათასი მანეთით გადააჭარბა. ეს მოხდა რთულ ვითარებაში: შარშანდელი წელი მეტისმეტად ბვალვიანი იყო, მიწათმოქმედებს და მეცხოველეებს შეუპოვარი ბრძოლის გადატანა მოუწდათ ძნელ პირობებში კარგი მაჩვენებლების მოსაპოვებლად.

— **შემთხვევით** როდი მივმართეთ შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების პროგრესულ ფორმებს, — თქვა საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ბონდო პაპავამ, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია მეურნეობის წინსვლა. — იგი საშუალებას გვაძლევს გაზარდოთ პროდუქციის წარმოება და შევამციროთ ყოველგვარი ხარჯები, აგრეთვე უფრო ეფექტიანად გამოვიყენოთ მატერიალური სტიმულები. ცხადია, ასეთ სტიმულებს მეურნეობაში ადრეც იყენებდნენ, მაგრამ სათანადო უკუგება არ ჰქონდა. ასე იყო, მაგალითად, მემანდვრეობაში, მოხნეს ფართობი მარცვლეულის, სიკვავი კულტურების, ბოსტნეულის დასათესად, ჩატარეს კულტივაცია, ბორწყეს ნიადაგი, მოიწყიეს მოსავალი. ყველაფერზე იწერებოდა განრიგები და, რაც მთავარია, პროდუქციის რაოდენობისა და ხარისხის მიუხედავად, თითოეული უკლებლივ იღებდა გასამრჯელოს ცალკეული შესრულებული ოპერაციისათვის. გარანტირებული შრომის ანაზღაურება არ მოითხოვდა ადამიანებისაგან ინიციატივასა და ფხიზლობას. თანაც, ჩვენთან, ისევე როგორც სხვა მეურნეობებში, არსებობდა სხვადასხვაგვარი პრემია, რომლებიც არათუ სტიმულირების საშუალებას არ წარმოადგენდა, პირიქით, ხელფასის უბრალო დანამატად იქცა. პროგრესულმა მეთოდებმა ნეგატიურ მოვლენებს ბოლო მოუღო. მეურნეობა ყველა სახის პროდუქციის მოსავლიანობისა და წარმოების გეგმებს გადაჭარბებით ასრულებს, ხოლო საამისოდ გაწეული დანახარჯები ბევრად ნაკლებია შესასყიდ ფასებთან შედარებით. მეურნეობის რენტაბელობა საგეგმოს ბევრად აღემატება. ამასთან მოგების უდიდესი ნაწილი მიღებულია შრომია ნაყოფიერების ზრდისა და პროდუქციის ხარისხის გაუჯობესების შედეგად.

სანარდო იჯარის ორმხრივი სარგებლიანობა ნათლად გამოვლინდა მემანდვრეთა მუშაობის მაგალითზე. მთელი ფართობი — 755 ჰექტარი სახნავ-სათესი, 44 ჰექტარი ვენახი და ხეხილი იჯარით აიღო გელა ამურველაშვილის ბრიგადამ, რომელშიც მექანიზატორებიც გაერთიანდნენ. მათ დამუშავება არ მოაკლეს ნიადაგს, მცენარეს კი მოვლა, გასწეს დიდძალი ეკონომია, მინდვრებისა და პლანტაციების დამუშავებაზე თითქმის ორჯერ ნაკლები მუშახელი გამოიყენეს, ვიდრე იჯარამდე, შეამცირეს აგრონომისა და ალმრცხველის საშტატო ერთეული, ხოლო მოიჯარენი ჩაებნენ მოსავლის მოყვანაში. საკვები რესურსების გაზრდის მიზნით ნაწვერალზე დათესეს შუალედური კულტურები. საკვები აიღეს ხეებსა და ტყის პირებშიც. ამრიგად, მემცენარეობაში ყველა კულტურის მოსავლიანობის გეგმა შესრულდა, საკვები კი საკმარისზე მეტი დამზადდა. მემანდვრეობაში მომუშავე თითოეულმა მუშაკმა თვეში 326 მანეთი გამოიმუშავა.

მებოცვრეობის კომპლექსი იჯარით ჩაიბარა ჯემალ მარქარაშვილმა, რომელიც მანამდე ბრიგადირად იყო. კომპლექსში წინათ 28-29 კაცი მუშაობდა, მათი რიცხვი 17-მდე შემცირდა. ისინი უვლიან 22 ათასამდე ბოცვერს, რაც გაცილებით მეტია, ვიდრე წინათ ჰყავდათ. შარშან საგეგმო 112 ტონის ნაცვლად 165,5 ტონა დიეტური ხორცი და ათასობით ცალი ტყავი აწარმოვეს და არც არავის დანაგებია, რომ თითოეული მებოცვრის საშუალო თვიური ხელფასი 676 მანეთია. მეცხვარეობაც სწრაფად დაიძრა ადგილიდან იჯარაზე დარგის გადასვლის შემდეგ. სამივე საწარმოო ბრიგადა გამოცდილმა მუშაკმა მიშა იგითო

ეროვნული ბიბლიოთეკა

...**ამჟამინდელ** ვითარებაში, — საოცარი სისწრაფით ცვლადი დროისა და რადიკალური გარდაქმნებით გამოწვეული დინამიზმის პირობებში — განუსაზღვრელად დიდი, პირდაპირ სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება ადამიანთა მოდგმის ყველაზე კეთილშობილურ გრძნობას — ფანატიზმი და პროგრესულ (და ასევე გიპერტროფირებულ ან დაბინებულ-დეგრადირებულ) **ეროვნულ — თვითშეგნებას,** ხალხის მეობის ამ მთავარ მაჩვენებელს და მისი **ადამიანური არსების მთავარ განმსაზღვრელს;** სწორედ ამ უკვდავმა წმინდა ადამიანურმა უნარმა (ის თუ ჩაკვდა, ხალხიც კვდება) იხსნა კაცობრობა უსახო, ჯოგური ერთფეროვნებისაგან და ხალხს საკუთარი სახე, საკუთარი ბუნება შეუნარჩუნა, საკუთარი ბედ-იღბალი დაანათლა.

მარქსისტული იდეოლოგიის სისტემატურმა და გააფთრებულმა ეერიშებმა ამ მარადიული და წმიდათაწმიდა გრძნობის წინააღმდეგ (ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში რომ დაიწყო), მისი მინელებიდან-მესუსტების, მიყუჩების, მჩიფუნებისა და, საბოლოო ანგარიშში, სრული გაქარწყლების მიზნით, ისევაც ცხოველური სიჯიუტით და არაადამიანური ძალისმევით ანხორციელებდნენ რუსი და ქართველი სოციალ-დემოკრატები და ამ პარტიის საფუძველზე ადმოცენებული, მისი სახელმბაობანი (მემარცხენული თუ მემარჯვენული ყაიდისა) — სასტიკი ბრძოლა განიკადა. ყველა ერისა და ეროვნებისათვის ჭკუისასწავლი ეს მარცხი დღეისათვის სრულიად აშკარა გახდა.

მაგრამ თავისთავად, იზოლირებულად ხალხის ცხოვრებაში ფესვგაუდგმელად არსებული ეროვნული თვითშეგნება ყოფნა აბსტრაქციად დარჩება, თუ მან ღრმა და მკვიდრი „მატერიალიზაცია“ არ განიცადა: თუ ხალხის ცხოვრების წესში, მის სახელმწიფოებრიობაში, სოციალ-პოლიტიკურ სისტემასა და საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში არ დამკვიდრდა როგორც ამ ხალხის ყოფიერებისა და ცნობიერების დედა-ძარღვი.

ამის მიღწევა კი მხოლოდ ერთი გზით შეიძლება: ამა თუ იმ ხალხის ჭეშმარიტად თავისუფალი, ჭეშმარიტად დამოუკიდებელი, ჭეშმარიტად სუვერენული ეროვნული სახელმწიფოს შექმნით. სწორედ ამით ეხსნება მსოფლიოში ერთი ყველაზე უძველესი ერისა და უმაღლესი კულტურის მქონე ხალხის, ქართველი ხალხის, დაუოკებელი ლტოლვა დამოუკიდებლობისკენ. ამ ლტოლვას ვერც დღეს და ვერც მომავალში ვერაფერი ვერ შეაჩერებს. დღევანდელი საქართველოს მძლავრმა ეროვნულ-საზოგადოებრივმა მოძრაობამ ყოველივე ეს დიდი შთამბეჭდაობითა და თვალსაჩინოებით ნათელყო.

საქართველოს ეროვნულ-საზოგადოებრივმა მოძრაობამ განაპირობა რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ კანონის მიღება და, კერძოდ, იმ 69-ე მუხლისა, რომელსაც წინა წერილში შევეხეთ და რომელსაც საქართველოს სუვერენიტეტის კონსტიტუციური გარანტიის ხერხემალი ვუწოდეთ.

დღეს, ძალზე ძნელია თქმა იმისა, თუ როგორ გაითვალისწინებს ამ მუხლის შინაარსს სსრ კავშირის კონსტიტუცია, როცა მისი განხილვა-მიღების ჯერი დადგება, ან რა მიმართებაში აღმოჩნდება იგი იმ კანონთან, რომელიც სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა კონგრესში მესამე ყრილობამ მიიღო ამ დღეებში და რომელიც ა. წ. 7 აპრილს გამოქვეყნდა პრესაში — „კანონი სსრკ-დან მოკავშირე რესპუბლიკის გასვლასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის წესის შესახებ.

მაგრამ ქართველმა ხალხმა თავისი საკანონმდებლო აქტით უკვე გამოთქვა სრულიად ნათლად და ყველას გასაგებად თავისი თვალსაზრისი, როცა კავშირიდან გასვლის პრობლემას ასეთი ფორმულირება მისცა: — საქართველო ერთავაც ინარჩუნებს კავშირიდან გასვლის უფლებას. ეს უფლება ამჟამადაც ფიდა და ხელშეუხებელია და, რომ ამ უფლების შეზღუდვა ან გაუქმება არც ერთ საკავშირო ორგანოს არ შეუძლიან.

მტკიცედ უნდა ითქვას, რომ 69-ე მუხლს დიდი სამომავლო მნიშვნელობა აქვს.

დამოუკიდებლად იმისა, რამდენად ან როგორ შეზღუდავს საკავშირო კანონმდებლობა ამ მუხლს, იგი მაინც დარჩება ქართველი ხალხის ეროვნულ-საზოგადოებრივი და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ვექტორის მთავარ ორიენტირად და იმ მოთხოვნად, რომელიც სსრ კავშირში გაერთიანებული რესპუბლიკების მომავალ საკავშირო ხელშეკრულებას უნდა დაედოს საფუძვლად.

სსრ კავშირის უმაღლესი ორგანოს მხრივ საქართველოს ამ უფლების გაუქმების, შეზღუდვის ან ნებეცვლის შემთხვევაში, საქართველოს სს რესპუბლიკა მაშინვე ითვლება გასულად სსრ კავშირის შემადგენლობიდან, ხოლო აქვს თუ არა ადგილი საქართველოს სსრ კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლების შეზღუდვებს, — ამას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დაადგენს საქართველოს უზენაესი საბჭო.

როგორც ვხედავთ, 69-ე მუხლი ოდაოდ არა ორჭოფულად და გაბედულად არის ფორმულირებული და ეს სახე მან სახალხო განხილვის შედეგად მიიღო. აქ არ შეიძლება არ აღინიშნოს ქართველი საზოგადოებრიობის აქტიური პოზიცია, რომელმაც თავისი გამოხატულება ჰპოვა ხალხის მხარდაჭერასა და, ეერძოდ, საქართველოს სახალხო ფრონტის საკანონმდებლო ინიციატივაში, რამაც ხელი შეუწყო ამ ეარგად გააზრებულსა და დროულ შესწორებათა მიღებას.

ერთი სიტყვით, საქართველოს სსრ უზენაესმა საბჭომ საქართველოს სუვერენიტეტის უზრუნველმყოფი კანონის ერთხმად მიღებით მყარი კონსტიტუციური საფუძველი შეუქმნა ჩვენი რესპუბლიკის სუვერენიტეტს და ამით გაამაგრა, გააძლიერა არც თუ მორიულ მყოფობადში საქართველოს მიერ სრული დამოუკიდებლობის მოპოვების პერსპექტივა.

საქართველოს უზენაესი საბჭოს ნოემბრის სესიის ასეთივე წარმატებად უნდა მივიჩნიოთ კანონი, რომელიც ითვალისწინებს კონსტიტუციის 77-ე მუხლის ახლებურ გაგებას. ეს მუხლი საქართველოს კონსტიტუციაში ამიერიდან ასეთი რედაქციით იქნება წარმოდგენილი: „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოქმედებს საქართველოს სსრ და სსრ კავშირის კანონები და კანონქვემდებარე აქტები. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო **აჩერებს სსრ კავშირის კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების მოქმედებას რესპუბლიკის ტერიტორიაზე, თუ ცნობს, რომ ისინი არ შეესაბამება რესპუბლიკის ინტერესებს**“.

ასეთ შემთხვევაში, ეს უარსაყოფი კანონები თუ კანონქვემდებარე აქტები წარედგინება მათ გამომცემ ორგანოებს და სსრ კავშირის კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტს ამ დოკუმენტების საქართველოს ინტერესებთან შესაბამისობაში მოყვანისათვის. მაგრამ, თუ ვერ მოხერხდა რესპუბლიკის მოთხოვნებთან მათი შესაბამისობაში მოყვანა, მაშინ საკავშირო კანონები და კანონქვემდებარე აქტები საქართველოს ტერიტორიაზე ვერ იმოქმედებენ.

უნდა ითქვას, რომ ამგვარი თამამი და ფართო უფლებების გამომხატველი მუხლის შეტანა საქართველოს კონსტიტუციაში უაღრესად ღირსშესანიშნავი მონაპოვარია. იგი გვევლინება საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტის თვალსაჩინო განმტკიცება-გაძლიერებად, ჩვენი ქვეყნის დემოკრატიზაციის აშკარა პროგრესის გამოხატულებად.

სამწუხაროდ, ასეთ კმაყოფილებას არ იწვევს ის დასანანი გარემობა, რომ ესეიგზე ვერ მოხერხდა საქართველოს მოქალაქის სტატუსის დასამტკიცებლად გამოტანა, რასაც ღიდი ხანი მოუთმენლად ელის ქართველი ხალხი.

მოქალაქის სტატუსის გამოთხი ჰაერში გამოკიდებული დარჩა, და ეს მაშინ, როცა სწორედ ეს სტატუსი უნდა ყოფილიყო საქართველოს უზენაეს საბჭოში არჩევნების უპირველესი რეგულატორი, ქართველი ხალხის კანონიერი მოთხოვნების, მისი ეროვნული ინტერესების უმთავრესი დამცველი.

ცხადია, ჯერ საქართველოს სსრ მოქალაქის სტატუსი უნდა მოგვემზადებინა, სახალხოდ განგვეხილა, დაგვიმტკიცებინა და მხოლოდ ამის შემდეგ კანონები საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ (უზენაეს საბჭოშიც და ადგილობრივ საბჭოებშიც). ჩვენ კი ეს საქმე უკუღმა დავიწყეთ. **რა არის ეს, თუ არა გაუთვალისწინებლობა რესპუბლიკის წინაშე მდგარი ერთი უმწვავესი პრობლემისა?**

ახლა, ორიოდე სიტყვა იმაზე, თუ რა არასახარბიელო გავლენა შეიძლება მოახდინოს საქართველოს სსრ მოქალაქის სტატუსის არქონამ ქართველი ხალხის ეროვნულ, პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ ინტერესებზე, რამდენადაც პარლამენტარიზმის პირობებში მოქალაქეობის საკითხი ყოველი ერისათვის და კერძოდ ჩვენთვის, მართლაც უდიდეს მნიშვნელობას იძენს.

საქართველო თავისი ბუნებრივი პირობებითა და სიმშვიენიერით ერთი ყველაზე მიმზიდველი საცხოვრისია მთელ ჩვენს პლანეტაზე. თუ საქართველოს ბუნებრივ სიკეთეს დავუმატებთ ქართველი ხალხის ადამიანურ ღირსებებს — გულის სიკეთეს, უშურველობას, სხვა ეროვნებისა და ადმისარგებლობის წარმომადგენელთა მიმართ ტრადიციულ პატივისცემას, მომთმენობას და შემწყნარებლობას, რომელსაც ქართველობა მის მიწა-წყალზე ჩამოსახლებულ ხიზნებთან ურთიერთობაში იჩენდა (რასაც ხშირად მისთვის ზიანიც მოუტანია), გასაგები გახდება სხვა ეროვნების ადამიანთა ლტოლვა ქართულ მიწაზე დასახლებისაკენ.

ამიტომ, დროთა განმავლობაში, საქართველო ერთი ყველაზე მრავალეროვანი რესპუბლიკა გახდა. ამით, როგორც ყველას მოეხსენება, თავიც კი მოგვქონდა და ვერ ვამჩნევდით, რომ ზედმეტი ინტერნაციონალისტური ხელგაშლილობა ადრე თუ გვიან ძვირად დაგვიჯდებოდა; რომ ეს გარემოება არა მარტო სირთულეებს შეგვიქმნიდა, არამედ დიდ საფრთხეშიც ჩაგვგდებდა. ეროვნულ დაუდევრობას და წრეგადასულ, მოუზომავ ალტრუიზმს არავისთვის არ მოუტანია სიკეთე!

ქართული მიწის უანგარიშოდ, უპასუხისმგებლოდ გაცემის შედეგად (რაც საბჭოთა ხელისუფლების პირობებში განსაკუთრებით გახშირდა და საგანგაშო მასშტაბებს მიაღწია), საქართველოს ტერიტორიაზე შეიქმნა მთელი რიგი საკმაოდ ვრცელი რეგიონები, სადაც კომპაქტურად დასახლებულ არაქართველ მოსახლეობას ქართული მიწა დღეს **თავისად მიაჩნია,** ეს პრეტენზიები ქართული მიწის დასაკუთრებისა, თუმცა ყოველად უსაფუძვლო და თავხედურია, საქართველოს ერთიანობას, მის მთლიანობას ეხება საშიშ განსაკეთებულ უმზადებს და ჩვენგან მუდმივ სიფხიზლეს, თვალმოუხუჭავ დადარაჯებულობას მოითხოვს.

ინტერნაციონალიზმი სრულიადაც არ ნიშნავს სხვა ერთა საამებლად შმობლიური ხალხის ინტერესების დათმობას. ინტერნაციონალიზმი არ შეიძლება იყოს ცალმხრივი მხოლოდ ერთ ერს, ერთ ხალხზე დადებული ბეგარა. ინტერნაციონალიზმი არ უნდა ატარებდეს თვითმიზნურ ხასიათს და არ უნდა იყოს ერთი ხალხისთვის ფაქტიური, მეორესთვის ფორმალური. როცა ერთი ხალხი მაღალი იდეალებისათვის შეგნებულად თმობს თავისი ეროვნული საუნჯის ნაწილს, ხოლო მეორე ხალხი მხოლოდ ლიტონი სიტყვით „ქადაგებს“ მას.

ქართველი ხალხი შორსაა იმ აზრისაგან, რომ საუკუნეებით ჩვენს მიწაზე მცხოვრები სხვა ერების და ეროვნებების წარმომადგენლები ვეყაროთ და მასიურად გადავასახლოთ, მაგრამ მიგრაციული პროცესები ყურადღების ცენტრში უნდა იყოს. საქართველოში მცხოვრები ან ჩამოსახლებული ეროვნებათა ნამატი მარტო ქართულ მიწაზე კი არ უნდა სახლდებოდეს მიწის ნაკვეთების გამოყოფით, არამედ იმ მიწაზეც, რომელზეც მისი წინაპრები ისტორიულად ბინადრობდნენ.

ყველა ჩამოსახლებულს მარად უნდა ახსოვდეს, რომ ეს მიწა მხოლოდ და მხოლოდ ქართულია და, რომ ამჟამად საქართველოს მიწა-წყალზე მცხოვრები სხვა ერთა წარმომადგენლები მათი სამშობლოს ძნელბედობის დროს ჩვენნა ქვეყანამ მეგობრულად შეიფარა და შეივრდომა, აქედან კი ყველამ სათანადო ლოგიკური დასკვნა უნდა გამოიტანოს.

ახლა, როცა საზოგადოებრივი და ეროვნული აქტივიზაციის წყალობით საქართველოს უზენაესი საბჭოს როლი რეალურად გაიზარდა (ხოლო მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება), როცა იგი ქართული სახელმწიფოებრიობის, ქართველი ხალხის თავისუფლების, დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის განსაზღვრელი და გამომხატველი ხდება, ბუნებრივია, ქართველი ხალხისათვის სულ ერთი ვერ იქნება, ვის აირჩევს თავის უზენაეს ორგანოში და ვის დააკისრებს თავის წარმომადგენლობას.

მაგრამ რესპუბლიკის ამ უმაღლეს ინსტანციაში არჩევნების სრულყოფილად ჩატარებისათვის ეროვნული თვითშეგნება და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა მონახული არჩევნების ღრმადგააზრებული და ეფექტიანი ფორმები.

შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი მხოლოდ ერთია: აუცილებლად უნდა დავაწესოთ, და რაც შეიძლება დაუხანებლად დავაწესოთ უზადოდ მოფიქრებული საქართველოს სსრ მოქალაქის სტატუსი. სწორედ ის, რომელიც აქამდე ვერ შევაქმენით, თუმცაღა, როგორც ზემოთ ვთქვით, არჩევნების შესახებ მიღებულ კანონებში ამ სტატუსს ვიმოწმებთ და არსებითად მასვე ვეყრდნობით. უცნაურია, მაგრამ გამოდის, რომ ვეყრდნობით არარსებულ დოკუმენტს!

მიუხედავად ამისა, საქმიანი მსჯელობა ამ სტატუსის შესახებ მაინც აუცილებელია. რა კონკრეტული მოთხოვნები უნდა წავუყენოთ ამა თუ იმ პიროვნებას, რათა მან საქართველოს სსრ მოქალაქის უფლება მოიპოვოს?

პირველი. რაც შეეხება საქართველოში მცხოვრებ ქართველებთან გათანაბრებულ სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებს, ან საქართველოს ტერიტორიაზე დროებით მცხოვრებ პირებს, ისინი, როგორც საქართველოს უზენაესი საბჭოს, ისე ადგილობრივი საბჭოების არჩევნებში მონაწილეობის დროს უნდა სარგებლობდენ ისეთივე საარჩევნო უფლებებით, როგორც ძირითადი მოსახლეობა. ეს დემოკრატიზმის პირველი მოთხოვნაა და იგი შეუვალი უნდა იყოს. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ საქართველოს მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობას როგორც ამჟამინდელს, ისე ახლო მომავლისას. რესპუბლიკის ძირითად და დროებით მცხოვრებთა ასეთი საყოველთაო მონაწილეობა არჩევნებში ვერ დაარღვევს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში ქართველი ხალხის წარმომადგენლობის დაღმავი კეთილ (წონილ).

მეორე. სულ სხვაგვარად უნდა მივუდგეთ საქართველოს პარლამენტში და ადგილობრივ საბჭოებში ასარჩევ დეპუტატთა შერჩევას. აქ უსათუოდ საჭიროა დეპუტატობის კანდიდატთათვის მიმართ გარკვეული მოთხოვნების დაწესება, რათა გასული წლების მსგავსად საქართველოს უზენაეს საბჭოში არ ავირჩიოთ ისეთი პირები, რომელთაც არაფერი არ აკავშირებს არც საქართველოსთან, არც ქართველ ხალხთან; ვისაც ხანგრძლივად არ უცხოვრია ჩვენს რესპუბლიკაში, ვინც არც ეთნიკურად, არც კულტურულად, არც ისტორიულად, არც ნათესაურად და არც სწავლა-განათლებით არ არის დაკავშირებული საქართველოსთან. ანდა, ვინც შესაძლოა ათეულ წლობით ცხოვრობს აქ, მაგრამ დიდმპყრობელური ინსტიტუტებისა გამო აქამდე არ იცის „ორი ღერი“ ქართული და ქართველ ხალხთან მხოლოდ ადმინისტრაციული, „გასტრონომიულ-მომხმარებელ უ რ ი“, ანდა „საყურორტო სიახლოვე“ აკავშირებს.

კარგად ცნობილია, რომ ძველად ცენტრი საკავშირო უწყებათა პასუხისმგებელ მუშაკთა არჩევას საგანგებო სიებით ავალდებულებდა რესპუბლიკას, რათა ადმინისტრაციული ელიტა პარლამენტს გარეშე არ დარჩენილიყო; რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს შემთხვევით პირთაგან დასახვევად მხოლოდ ერი რეალური „ჯგბირი“ არსებობს: **ბინადრობის ცენზისა და სახელმწიფო ენის ცენზის შემოღება.** ბინადრობის ცენზი დეპუტატობის კანდიდატთათვის უნდა დადგინდეს არანაკლები 10 წლისა, ხოლო ენის ცენზი ოფიციალური სახელმწიფო დოკუმენტების ქართულ ენაზე წაკითხვის უნარისა და ქართველ მოსახლეობასთან ქართულად გასაუბრების უნარის მიხედვით.

ამით ჩვენ სამუდამოდ კი არ ვართმევთ ამა თუ იმ პიროვნებას უფლებას არჩეული იქნეს დეპუტატად რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში ან ადგილობრივ საბჭოებში, არამედ მანამდე, სანამ იგი გაიცნობს ქართველი ხალხის ისტორიულ-კულტურულ თავისებურებებს, ეროვნულ ზნეჩვეულებებს, ტრადიციებს, ხალხის მოთხოვნებს, მისი ცხოვრების პირობებს და შეისწავლის ქართულ ენას, პირველ ხანებში, თუნდაც მარტივი საუბრის დონეზე, წინაღმდეგ შემთხვევაში, თუ კანდიდატმა საქართველოს შესახებ არაფერი იცის და ქართულად ვერ მეტყველებს, როგორ შეიტყობს იგი ქართველი მოსახლეობის მდგომარეობასა და ინტერესებს, როგორ გაიგებს მათ საჭიროებას, მოთხოვნებს, განზრახვებს როგორ შეძლებს იყოს ქართველი ხალხის ქომაგი, მრჩეველი, წარმომადგენელი?

მაგრამ რამდენადაც არც ბინადრობის და არც ენის ცენზი არ შევიდა საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა და ადგილობრივი საბჭოების სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ უკვე დამტკიცებულ კანონებში, ვგრჩება ერთადერთი შესაძლებლობა — შევიტანოთ ეს სამართლიანი მოთხოვნები საქართველოს სსრ მოქალაქის სტატუსში, რომელიც უნდა განხორციელდეს საქართველოს კონსტიტ უ ც ი ი ს 39-ე მუხლის სახით. მაგრამ არა იმ ბუნდოვანი, კუდმოკვეცილი ფორმულირებით და არაფრისმომქმელი, ზოგადი ფრაზეოლოგიით, როგორც ამჟამად არის ეს მუხლი წარმოდგენილი.

არ უნდა შეგვაშინოს იმან, რომ რესპუბლიკის მოქალაქის ანალოგიური სტატუსი, წარმოდგენილი ლიტვის სს რესპუბლიკიდან, უარყოფილ იქნა სსრკ უმაღლესი საბჭოს მიერ. ლიტველებმა აშკარა შეცდომა დაუშვეს, როცა ერთმანეთს დაუპირისპირეს (ერთად დააწყვილეს) ორი სხვა და სხვა საკითხი: არჩევნებში მონაწილეობა, შესანიშნავი მხედრული უნარის მქონე ქართველი ოფიცრობა და გენერლები საბჭოთა არმიიდან განდევნა.

სწორედ ნ. ხრუშჩოვის დროს ძქნა მიღებული დისკრიმინაციული ინსტრუქცია, რომლის თანახმად ქართველ ოფიცრობას სამხედრო აკადემიაში აღარ იღებდნენ, ხოლო ქართველ მფრინავებს სამხედრო თვითმფრინავებს აღარ ანდობდნენ. ამით ნ. ხრუშჩოვმა და მისმა მხარდამჭერებმა ქართველი ხალხი საბჭოთა არმიისაგან მოკვეთეს, ქართველ ახალგაზრდობას კი სამხედრო წინსვლის ყოველგვარი პერსპექტივა მოუსპეს.

არანაკლებ საძრახისი და აღმაშფოთებელი ის გახლავთ, რომ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ყოფილი სარდალი, ამჟამად კი არმიის გენერალი, სამხედრო მინისტრის პირველი მოადგილე და სახმელეთო ჯარების თავთავსარდალი კოჩეტოვი, რომელსაც რადიონოვზე მეტი ბრალი მიუძღვის 9 აპრილს თბილისში დატრიალებულ ტრაგედიაში, „მშრალი“ გამოვიდა „საქმიდან“ კვლავაც იმავე თანამდებობაზე იმყოფება!?

რაც შეეხება ქართველი ახალგაზრდობის გულაცრუებას ჩვენს დღევანდელ არმიაში სამსახურისადმი, ამას თავისი მიზეზი აქვს: ქართველმა ახალგაზრდობამ კარგად უწყის 1956 წლის მარტის ამბები, როცა დიდად დამსახურებულ ქართველ ოფიცრობას სრულიად უმართებულოდ უნდობლობა გამოუცხადეს და სამამულო ომში მამაცურად მებრძოლი ქართველი მხედრობა არმიიდან გაყარეს. უსახსოოდ და უმუშევრად დატოვეს. განა გასაკვირია, თუ მათ შვილებსა და შვილიშვილებს თავისი ემოციური დამოკიდებულება ექნებათ არმიის მიმართ, რომლის სარდლობაც ასეთ ეროვნულ მიკერძოებას ამჟღავნებს?

დროა, დაუნდობლად აღმოიფხვრას უკულმართი დამოკიდებულება ეროვნული კადრებისადმი ასე რიგად გავრცელებული დღევანდელ არმიაში (რასაც უმრავი ტრაგიკული შედეგი მოსდევს). დროა, მიღებულ იქნას საჭირო ზომები საბჭოთა არმიაში სწორი ნაციონალური პოლიტიკის გატარებისათვის. ამასთან ერთად, აუცილებად უნდა დაკანონდეს საქართველოს სუვერენიტეტისათვის აუცილებელზე აუცილებელი ღონისძიება ქართული ეროვნული შენაერთების შექმნისა და ქართველი ახალგაზრდობის მიერ საგალდებულო სამხედრო სამსახურის საქართველოს ტერიტორიაზე მოხდისა (ასევე სხვა რესპუბლიკებშიც), რაც ახალგაზრდობის ეროვნულ ფორმირებებში სამსახურით უნდა ხორცელდებოდეს. ამიტომ საქართველოს უზენაესი საბჭოს ნოემბრის სესიაზე მიღებული კანონი — „სსრკ შეიარაღებული ძალების სისტემაში ქართული ეროვნული საჯარისო ფორმირებათა ადგილების შესახებ“ — უაღრესად დროული, საჭირო, და მართლაც აუცილებელი გადაწყვეტილებაა; იგი მკვეთრად შეცვლის ქართველი ახალგაზრდობის დამოკიდებულებას სამხედრო სამსახურისადმი და შესაძლებლობას მისცემს მათ დაეუფლონ სამხედრო საქმეს, რაც ყოველი ერის ერთი უპირველესი საზრუნავი უნდა იყოს. ამასთან, იგი შექმნის საქართველოში ეროვნული სასწავლებლების დაარსებისა და სამხედრო კვალიფიკაციის ასამაღლებელი დაწესებულებების ორგანიზების პირობებს. დიდი მხედრული ტრადიციების მქონე ქართველ ხალხს არა აქვს უფლება უდაბდელად და უზრუნველად მოექცეს ეროვნული სამხედრო კადრების გამორდას.

ამრიგად, ქართული საჯარისო შენაერთების ფორმირება (ჯერჯერობით საბჭოთა არმიის შემადგენლობაში). უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს ისტორიული სამართლიანობის აღდგენას ქართული ლაშქრის ფორმირება საქართველოს რეალური სუვერენიტეტის შექმნის ერთი უარსებითესი დადასტურება იქნება.

ქართველი ხალხი ყოველთვის გამოირჩეოდა თავისუფალი აზროვნების უნარით, იგი ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა იდეოლოგიურ იძულებას, სააზროვნო სტანდარტებს, ბრმა თაყვანისმცემლობას, ღვთაებრივ აქტებად გამოცხადებულ თეორიებს. მაგრამ გაუკუღმართებული სოციალიზმის განუკითხობამ და ტოტალიტარულმა სისტემამ ხალხის ეს სანაქებო თვისებები საბოლოოდ გაოფექმკთალა და დაკარნინა, თუმცა, მთლიანად ვერც მოსპო და ვერც სავსებით ამოძირკვა.

დღეს, აზროვნებისა და ქცევის გაცილებით თავისუფალ ვითარებაში, როცა შეიქმნა პირობები შუხედულებათა სხვადასხვაობის (პლურალიზმის) და ახლებურად აზროვნებისა, ქართველმა საზოგადოებრიობამ მისთვის დამახასიათებელი სიახლისადმი სწრაფვით, ორიგინალური აზროვნების უნარით, უშიშარობით, უფრო აქტიურად უნდა მოიძიოს გზები, უფრო აქტიურად ჩაერთოს იმ კარდინალური პრობლემების გადაწყვეტაში, რომელთა გარკვევის გარეშე ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა და საზოგადოებრივი პ რ ო გ რ ე ს ი შეუძლებელი გახდება.

დაბეჯითებით უნდა ითქვას, რომ სოციალისტური სისტემის დღევანდელი **გლობალური კრიზისი,** რომელიც შესაძლოა მომავალში კიდევ უფრო გამძაფრდეს, **დროებით ხასიათს კი არ ატარებს, არამედ თვით ჩვენი სისტემითაა გაპირობებული,** და მისგან თავის დაღწევა შესაძლებელია მხოლოდ კარდინალური ზომებით; პირველ ხანებში (სრულ დამოუკიდებლობამდე) კერძო საკუთრების აუცილებელი დაშვებით, მიწის პრობლემის დაუყოვნებლივი გადაწყვეტით, რესპუბლიკის ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზე გადასვლით და დამოუკიდებელ, თანასწორუფლებიან რესპუბლიკათა კონფედერაციის შექმნით. ამ პრობლემის გარკვევა-დამუშავებაში საქართველომ არა მარტო თავისი სიტყვა უნდა თქვას, არამედ სხვა ხალხებზეც იმოქმედოს, რათა მოხერხდეს ამ უპირველესი მნიშვნელობის პრობლემათა ერთობლივი ძალებით გადაწყვეტა.

გიორგი ციციშვილი.

(გაგრძელება იქნება).

უკახოეთში

საკრებულო იუწყება
9 აპრილი

● **ჩეხოსლოვაკია**

ეკონომიკის რეფორმა

პრაღა. ჩეხოსლოვაკიაში ეკონომიკის რეფორმის ფარგლებში მიმდინარეობს დიდი საწარმოების გაყოფა ცალკეულ ჯარხნებად, რომლებიც ხანელმწიფო საწარმოს უფლებით ხარგებლობენ. მაგალითად, არსებობა შეწყვიტა ქვეყანაში ერთ-ერთმა უდიდესმა კონცერნმა „შკოდამ“. მთელ ჩეხოსლოვაკიაში განლაგებულ მის რვა საწარმოში მუშაობდა 73 ათასი კაცი. ეს ქარხნები ამზადებდნენ მრავალნაირ პროდუქციას — ატომური რეაქტორებით დაწყებული და მსუბუქი მცირელტრაქციანი ავტომანქანებით დამთავრებული. ახლა დამოუკიდებლად მოქმედებენ საწარმოები „შკოდა-პლზენი“, „შკოდა-პრაღა“, „სლოვენსკე ენერგეტიკ�ე სტროირნი-ტამაჩე“, „ჩკდ-ბლანსკო“ და სხვ.

24 დამოუკიდებელ საწარმოდ დაიშალა ფარმაცევტულ საწარმოთა გაერთიანება „სპოფა“, რომელიც წამლებსა და ფარმაცევტულ პრეპარატებს მსოფლიოს 80 ქვეყანას აწვდის. ანალოგიური პროცესები მიმდინარეობს სხვა ეკონომიკური ინსტიტუტიც, რომლის თანახმად ქართველ ოფიცრობას სამხედრო აკადემიაში აღარ იღებდნენ, ხოლო ქართველ მფრინავებს სამხედრო თვითმფრინავებს აღარ ანდობდნენ. ამით ნ. ხრუშჩოვმა და მისმა მხარდამჭერებმა ქართველი ხალხი საბჭოთა არმიისაგან მოკვეთეს, ქართველ ახალგაზრდობას კი სამხედრო წინსვლის ყოველგვარი პერსპექტივა მოუსპეს.

არანაკლებ საძრახისი და აღმაშფოთებელი ის გახლავთ, რომ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ყოფილი სარდალი, ამჟამად კი არმიის გენერალი, სამხედრო მინისტრის პირველი მოადგილე და სახმელეთო ჯარების თავთავსარდალი კოჩეტოვი, რომელსაც რადიონოვზე მეტი ბრალი მიუძღვის 9 აპრილს თბილისში დატრიალებულ ტრაგედიაში, „მშრალი“ გამოვიდა „საქმიდან“ კვლავაც იმავე თანამდებობაზე იმყოფება!?

რაც შეეხება ქართველი ახალგაზრდობის გულაცრუებას ჩვენს დღევანდელ არმიაში სამსახურისადმი, ამას თავისი მიზეზი აქვს: ქართველმა ახალგაზრდობამ კარგად უწყის 1956 წლის მარტის ამბები, როცა დიდად დამსახურებულ ქართველ ოფიცრობას სრულიად უმართებულოდ უნდობლობა გამოუცხადეს და სამამულო ომში მამაცურად მებრძოლი ქართველი მხედრობა არმიიდან გაყარეს. უსახსოოდ და უმუშევრად დატოვეს. განა გასაკვირია, თუ მათ შვილებსა და შვილიშვილებს თავისი ემოციური დამოკიდებულება ექნებათ არმიის მიმართ, რომლის სარდლობაც ასეთ ეროვნულ მიკერძოებას ამჟღავნებს?

ბონი. „შეჭსპირი დღეს“ — ასეთია თემა საერთაშორისო კოლოკვიუმისა, რომელიც დასავლეთ გერმანიის ქალაქ ზაარბრიუკენში გაიხსნა.

თავიანთ აზრებს სხვადასხვა ქვეყნის დრამატულ სცენებზე დიდი ინგლისელი დრამატურგის პიესების ინტერპრეტაციის თაობაზე ერთმანეთს გაუზიარებენ შექსპირმცოდნეები, თეატრალური კრიტიკოსები, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის რეჟისორები.

საბჭოთა კავშირი აქ წარმოდგენილია საქართველოს თეატრის სპეციალისტებით, რომელთანაც ზაარის მხარეს პარტნიორული ურთიერთობა აქვს.

ბაზელი. ის, რასაც ამ სურათზე ხედავთ, სულაც არ არის სიმძიმეების აწევაში შეჯიბრება. „ტ-72“ საბჭოთა ტანკის კონტურებიანი გასაბერი მაკეტების დამამზადებელი ფირმის „ბარაკუდას“ ექვსი თანამშრომელი სერიოზული საქმით არის დაკავებული. გასაბერი საბრძოლო მანქანა კარგი სამიზნეა საფრანგეთის სამხედრო-საჰაერო ძალების მფრინავებისთვის. მაკეტის შიგთავსს ისეთივე თვისება აქვს, რაც ჩვეულებრივ ლითონს და ამიტომ ადვილად შეიძლება მისი აღმოჩენა თვითმფრინავის რადარებით. სანამ ამ პროდუქციაზე მოთხოვნილება არის, ფირმას გარანტირებული აქვს შემოსავალი. ერთი მაკეტი 200 ათასი ფრანკი ღირს. სხვადასხვა ქვეყნებში უკვე გაიყიდა ასზე მეტი ასეთი სამიზნე.

ᲐᲨᲨ-ᲡᲐᲥᲠᲔᲡᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲒᲐᲡᲢᲠᲝᲚᲔᲑᲘ

„რუსთავი“ მოხიბლა

ნიუ-იორკი. აქ დაიწყო საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი „რუსთაველი“ გასტროლები. საბჭოთა მხახიობების პირველ გამოსვლას ნიუ-იორკში ალტაცებით შეხვდა საზოგადოება, რომელმაც აავსო ბროდვეის „ბიკონ ტიეტრის“ დარბაზი. ტაშით „ბრავოს!“ შეძახილებით მაყურებლები დიდხანს არ უშვებდნენ მოცეკვავეებს ყვავილებით მოფენილი სცენიდან.

„დასის ვირტუოზულობა და თავისთავადობა განსაცვიფრებელია. მშვენიერი სახახაობის მოწმე გავხდი“, — თქვა სპეციალისტმა შემდეგ საკრებულის კორესპონდენტთან საუბარში მიცემულ ინტერვიუში მასწავლებელმა სიუზან სტივენსმა. „სოლისტების ფილიგრანული ტექნიკა, მოცეკვავე ქალების გრაციოზულობა, სიცეხოო კოსტიუმები — ყოველივე ეს პირდაპირ გასაოცარია“, — მისი შეფასება გ

დღე ტკივილისა და დღე იმედისა

რეპორტაჟი

ალილეკანდელმა გაზაფხულმა თბილისში, როგორც ყოველთვის, აუარაცხელი ყვავილი მოაზღვავა. მაგრამ ამჯერად ყვავილებს ერთმანეთს კი არ ვჩუქნით, არამედ მიგვაქვს იმ ადგილას, სადაც 9 აპრილის ტრაგიკულ გარიჟრაჟზე სიცოცხლეს გამოასალმეს ჩვენი გოგონები, რომლებსაც დედობა ვერ ეღირსათ, გამოასალმეს ოჯახის მამები, რომლებსაც შვილების ფეხზე დაყენება არ დასცალდათ, გამოასალმეს ბებიები, რომლებმაც ვერ მოასწრეს დაელოცათ შვილიშვილები, სანამ მარადისობის გზას დაადგებოდნენ.

ასეთი საზრუნავი მოგვიტანა ალილეკანდელმა გაზაფხულმა. მივაგოთ პატივი წასულთა ხსოვნას — ეს ჩვენი წმიდათაწმიდა ვალია, წინაპრებმა რომ გვიანდერძეს. მაგრამ რა ვუყოთ ტკივილს, მთელ ტანში რომ გვივლის იმის გაფიქრებაზე, რომ ამ შემზარავი აკვიატების ჩამდენთ ადამიანებს უწოდებენ, როგორ გინდა, დაიოკო დარდი, ბუნთიკით რომ გაგჩხვირია ყელში, როდესაც ფიქრობ, რომ ყოველივე ეს შეიძლებოდა არც მომხდარიყო, შეიძლებოდა თავიდან აგვეცილებინა.

მაგრამ მოხდა... და ახლა ჩვენ სევდასთან ერთად გვეძალება გრძნობა განსაკუთრებული პასუხისმგებლობისა მომავალ თაობათა წინაშე. რით უნდა ვიმართლოთ თავი მათ წინაშე? თავის გამართლებას, რა თქმა უნდა, შევძლებთ, მაგრამ, ეჰი, რომ, თავი-სმართლება ვერარის უშვილის შეწირულთა. აი, რა აზრი აწვალებს ბა, სიყვარული, სიქველე — თვისებები, ადამიანის ღირსების საფუძველსა და საწყოს რომ შეადგენს.

მუღლამეა. ორი კელაპტრის ნათელი ასხივოსნებს მთავრობის სახლთან სახელდახელოდ აღმართული ტრიბუნის თავზე წარწერილ ჯადოსნურ სიტყვებს: ენა, მამული, სარწმუნოება, ირგვლივ დროშების, ტრანსპარანტების, ყვავილების ზღვა გარინდულა...

ქაშვეთიდან გაბმით გუგუნებენ ზარები...

ბზობა — ქრისტიანთა დიდი დღესასწაული — უკანასკნელ წუთებს ითვლის...

და ამ შუაღამეს, გლოვის ღამეს მოულოდნელად უერთდება თითქოს ციდან მოვლენილი ომახიანი მრავალქამიერი. ისეთი შთაბეჭდილება გეუფლება, თითქოს წინაპარნი ლოცავენო ამ საგალობლით მოედანზე შეკრებილნი.

ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიდნენ ეროვნულ-განმთავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები ირაკლი წერეთელი, ზვიად გამსახურდია, გიორგი ჭანტურია, ირაკლი ბათიაშვილი, ირაკლი შენგელაია და სხვები, მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენლები, ქვეყნის სხვადასხვა ქალაქის დელეგანები. გამოსულებმა გამოთქვეს თავიანთი დამოკიდებულება მომხდარი ტრაგედიისადმი და გულისწყრომით დაგმეს დამსჯელი აქცია, რომელიც მარტოოდენ მშვიდობიან დემონსტრანტების წინააღმდეგ კი არ იყო მიმართული, არამედ ეროვნულ-განმთავისუფლებელ ფრონტის ლიდერებს. ასევე მიტინგი გაიმართა ილია ჭავჭავაძის ძეგლთან. მისი ორგანიზატორები ეყენენ ბათუმის სახალხო ფრონტი, ილია მართლის საზოგადოება და სხვა ორგანიზაციები.

ცხინვალი. სისხლიანმა 9 აპრილმა — ქართველი ხალხის უდიდესმა სატკივარმა შესძრა ყველა კეთილგონიერი ოსი კაცის გული. სამხრეთ ოსეთის წარმოება-დაწესებულებების, უმაღლესი და საშუალო სასწავლებლების, საშუალო სკოლების მოსწავლე ახალგაზრდობამ წუთიერი ფუმილით პატივი მიაგეს 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნას. ცხინვალში გამართა მთავარათასიანი სამგლოვიარო მიტინგი, სადაც ოლქის მოწინავე საზოგადოებამ დაგმო აპრილის სისხლიანი კვირაფდე, ისინი, ვინც ამ აქციის მოწყობაში მიიღო მონაწილეობა. მიტინგზე გამოსულმა პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ცხოვრებაშვილმა, „ადამონ ნიხასის“ თავმჯდომარემ ლეონიდ ხარებოვმა, საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ არჩილ ჩიტიშვილმა, პარტიის ვეტერანმა დიმიტრი ვალიევმა ილაპარაკეს შარშანდელ ტრაგედიაზე.

მიტინგის მონაწილეები მქუხარე ტაშით შეხვდნენ პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის განცხადებას, რომ ცხინვალში დაიდგმება 9 აპრილის ტრაგედიის უკვდავსაყოფი მემორიალი.

ღვთისმშობლის ეკლესიაში, რომელიც ქალაქის ცენტრში მდებარეობს, მიიტანეს 9 აპრილს თბილისში დაღუპულთა სურათები, დაანთეს სანთლები. მამა რომანოზ კასრაძემ გადაიხადა პარაკლისი.

გლოვის დღემ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ქართველი და ოსი ხალხი ყოველთვის გუგუგებს ერთმანეთის, ძმობის ალამი მარად იფრიალებს სიკეთისა და ერთგულების ნიშნად.

ჟუთაისი. სრულიად საქართველოსთან ერთად გლოვობს ქუთაისი დაღუპულ მამულიშვილებს... იწვის და იდგენთება წმინდა სანთელი... ამ დღისათვის მიძღვნილი ღონისძიებები 6 აპრილიდან დაიწყო. ამ დღეს ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში გაიხსნა თემატური ექსპოზიცია „9 აპრილის დღეები თბილისში“. ილია ჭავჭავაძის სახელობის ცენტრალურ სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში გაიმართა საღამო „თქვენ საქართველოს სიყვარულში დაიღუპენით“.

7 აპრილს ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეები ეწვივნენ ქალაქისა და მისი შემოგარენის სამონასტრო კომპლექსებს, რათა პატივი მიეგოთ ღირსეული წინაპრებისათვის. ისინი დრამატული თეატრის შენობაში შეხვდნენ აგრეთვე ქუთაათელ-გაენათელ, ცაგერ-ლეჩხუმ-სვანეთის მთავარ ეპისკოპოს კალისტრატეს. ალაფლინეს ლოცვა, გამართეს დიალოგი.

სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით ქუთაისის ერთ-ერთ ქუჩას ეწოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერის მერაბ კოსტავას სახელი. 8 აპრილს ქალაქის საზოგადოებრივობამ გამართა ქუჩისათვის მ. კოსტავას სახელის მინიჭების ცერემონიალი. ამავე დღეს ეროვნულ-ფორუმის ქუთაისის ეროვნულმა კომიტეტმა 9 აპრილისადმი მიძღვნილი აქცია მოაწყო დავით ალმაშენებლის მოედანზე, რომელშიც მრავალი ათასი ქუთაისელი მონაწილეობდა.

ქალაქში მოწყობილია 9 აპრილის მოვლენების ამსახველი ფოტოსტენდი. ამ დღის წლისთავზე სამონასტრო კომპლექსებში და ეკლესიებში გაიმართა დაღუპულთა ჯანაზეიდი, საზოგადოებრივობამ გვირგვინებით შეამკო მათი მემორიალი.

გლოვის დღეს ქალაქის საწარმო-დაწესებულებათა ყველა კოლექტივმა 12 საათზე ხუთი წუთით შეწყვიტა მუშაობა.

სამგლოვიარო ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღეს და ქართველი ხალხისადმი თანადგომა გამოხატეს პოლონეთის რესპუბლიკის საქმიანი წრეების წარმომადგენლებმა, ხოლო ამერიკელმა პიანისტმა სიუზე მატ კორნეკმა, რომელიც სპეციალურად ამ დღისათვის ეწვია საქართველოს, ოპერისა და ბალეტის თეატრში გამართა საქველმოქმედო კონცერტი და მისი შემოსავალი ქალაქის დემოგრაფიულ ფონდს შემატა.

რუსთავი. სახალხო გლოვის დღე ფართოდ აღინიშნეს მეტალურგთა, ქიმიკოსთა და მშენებელთა ქალაქის მშრომელებმა. სამგლოვიარო მიტინგს, რომელიც პარტიის საქალაქო კომიტეტისა და საქალაქო საბჭოს აღმასკომის წინ მდებარე მოედანზე გაიმართა, დიდძალი ხალხი დაესწრო. აქედან კოლონები ახალგაზრდობის ხეივნისაკენ გაემართნენ. ხეივნის ცენტრში დადგმული მარმარილოს ფილა, რომელიც გვაუწყებს, რომ აქ აღიმართება 9 აპრილს დაღუპულთა ძეგლ-მემორიალი. პარტიის საქალაქო კომიტეტისა და საქალაქო საბჭოს აღმასკომის მუშაკებმა იგი გვირგვინებით და ყვავილებით შეამკეს. გვირგვინები მოიტანეს საწარმოდაწესებულებათა წარმომადგენლებმაც. სახელდახელოდ მოწყობილ ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიან ორატორები. ყველა ერთსულოვნად აცხადებს, რომ სისხლი, რომელიც შარშანდელი აპრილის იმ აბედიდით ღილას დაიღვარა, ამაოდ არ ჩაივლის, საქართველო მიიღებს ნაბატრ თავისუფლებას და ეზიარება ბედნიერებას, რომელსაც იგი ესწრაფვის. ღვთისმშობლის ხარების ეკლესიაში კი, რომელიც ქალაქს შარშან, წლის ბოლოს შეემატა, გადაიხადეს წირვა და დაღუპულთა სამოქალაქო პარაკლისი.

ამ დღეს ქალაქში სანამუშო წესრიგი სუფევდა. ყველა საწარმომ შეუფერხებლივ იმუშავა და გამოშვებულია 3 მილიონამდე მანეთის პროდუქცია, რომელიც ბევრად აღემატება საგეგმოს. გამართულად მუშაობდა ქალაქის ტრასპორტი. შრომითი რიტმი არ დამცხრალა ქალაქის ახალ მშენებლობებზე. რუსთაველებმა ერთხელ კიდევ დაამტკიცეს, რომ ისინი ჭირშიც და ლხინშიც მამაცნი არიან.

ოზურგეთი. ტრაგედიის მსხვერპლთა სადიდებლად მოწყობილმა მიტინგმა 8 აპრილის შებინდებიდან 9 აპრილის ალიონამდე გასტანა ოზურგეთში. სახელმწიფო თეატრის წინ ხალხით გაჭედილიყო ვეებერთელა მოედანი. ტრიბუნიდან გაისმოდა ორატორთა სიტყვები, წყვიტლა-კრულვიანი მიმართვები მათ მიმართ, ვინც ხელი აღმართა სამშობლოსათვის თავდადებული, უდანაშაულო ადამიანების წინააღმდეგ. ტრაგედიის ღამეს სხვებთან ერთად დაიღუპა ოზურგეთის მკვიდრი, ლიბერალი გოგონა ნინო თოიძე.

9 აპრილს რაიონის საზოგადოებრიობა, რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული სტუმრები ქალაქ ოზურგეთიდან ფეხით ავიდნენ ნინოს მშობლიურ სოფელ ლიხაურში, სამძიმარი უთხრეს მის მშობლებს და ჭირისუფალთ. შემდეგ მიტინგი გაგრძელდა ამავე სოფლის მკვიდრის, დიდი მამულიშვილის ექვთიმე თაყაიშვილის ძეგლთან.

თელავი. როგორც მთლიანად საქართველო, თელაველებიც შეძრა ცხრა აპრილის ტრაგედიამ., განცალკევებულ ერთ წელიწადში მრავალი სამგლოვიარო მიტინგი თუ სვლა, წირვა-ლოცვა მიეძღვნა ერის უკეთესი მომავლისათვის ბრძოლას შეწირულთა ხსოვნას.

8 აპრილს, თელავის ღვთისმშობლის ეკლესიის წინ, მიტინგით დაიწყო ტრაგედიის წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებანი.

9 აპრილს, 11 საათზე, ტაძრის სიახლოვეს გაიმართა დაღუპულთა მემორიალის გახსნის ცერემონიალი, შემდგომ საზოგადოებრიობის წარმომადგენელნი სოფელ აკურაში ეწვივნენ და გვირგვინებით შეამკეს ტრაგედიის ერთ-ერთი მსხვერპლის შალვა ქვასროლიაშვილის საფლავი.

9 აპრილისადმი მიძღვნილი სამგლოვიარო მიტინგები მოეწყო ასევე რაიონის სხვადასხვა სოფლში.

გორი. ადმინისტრაციული სახლის წინ ასობით გორელმა მოიყარა თავი. წმინდა ილია მართლის საზოგადოების გორის ფილიალის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიების გორის კომიტეტების, მონარქისტული პარტიის გორის საღრმოს, ქალაქის ახალგაზრდობის შრომითი კოლექტივების თაოსნობით გაიმართა მიტინგი.

მიტინგი გაგრძელდა გ. ერასთავის სახელობის სახელმწიფო თეატრის ეზოში. ღამისთევა დასრულდა ატენის სიონში 9 აპრილს დაღუპულთა სულების მოსახსენებელი პარაკლისის გადახდით..

სახელმწიფო თეატრის ეზოში — 9 აპრილის სახელობის სკვერში, არ შეწყვეტილა მომსვლელთა ნაკადი, მოჭქონდათ ყვავილები, ანთებდნენ სანთლებს...

ზუგდიდი. 9 აპრილის ტრაგედიამ ბევრი საფიქრალი გადაუჩინა ქართველ ხალხს. ამ გადაუგონარი სისხლისღვრის წლის. თავზე საერთო გულისთქმას ოდიშელებმაც .შეუერთეს თავიანთი ხმა.

8 აპრილს, საღამოს, ხალხმა თავი მოიყარა ილია ჭავჭავაძის ძეგლთან. ზუგდიდის კარის ეკლესიის წინამძღვარმა მიქაელ ასათიანმა, აღავლინა ლოცვა.

შეკრებილთ სიტყვით მიმართეს ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებმა ვახტანგ ყუფუნიამ, ელდარ ბულიამ და კობა ჯაჯუამ.

სანთლების შუქზე, შავარშიანი, თავფარფალი დროშებითა და დადუმებული მრავლით შეეგება 9 აპრილს განთიადს ზუგდიდი.

ამ დროისათვის კარის ეკლესიაში დაიწყო პარაკლისი. ჩაის კომბინატში, სოფლებში ვეთაწყარსა და ანაკლიაში გაიხსნა 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნის მემორიალები.

დღის 12 საათზე ზუგდიდელთა დელეგაციები ორი მიმართულებით გაემგზავრნენ. მათ მონაწილეობა მიიღეს სოხუმში, აჩადარაში 9 აპრილისადმი მიძღვნილი მემორიალის გახსნაში, ნაწილი კი მარტვილს გაემგზავრა, რათა საქართველოს დამოუკიდებლობისა-

ჩვენი კორესპონდენტები გვატყობინებენ

პატივს მიაგებს ხალხი

ვისუფლებელი მოძრაობის ლიდერის მერაბ კოსტავას სახელი. 8 აპრილს ქალაქის საზოგადოებრიობამ გამართა ქუჩისათვის მ. კოსტავას სახელის მინიჭების ცერემონიალი. ამავე დღეს ეროვნულ-ფორუმის ქუთაისის ეროვნულმა კომიტეტმა 9 აპრილისადმი მიძღვნილი აქცია მოაწყო დავით ალმაშენებლის მოედანზე, რომელშიც მრავალი ათასი ქუთაისელი მონაწილეობდა.

ქალაქში მოწყობილია 9 აპრილის მოვლენების ამსახველი ფოტოსტენდი. ამ დღის წლისთავზე სამონასტრო კომპლექსებში და ეკლესიებში გაიმართა დაღუპულთა ჯანაზეიდი, საზოგადოებრიობამ გვირგვინებით შეამკო მათი მემორიალი.

გლოვის დღეს ქალაქის საწარმო-დაწესებულებათა ყველა კოლექტივმა 12 საათზე ხუთი წუთით შეწყვიტა მუშაობა.

სამგლოვიარო ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღეს და ქართველი ხალხისადმი თანადგომა გამოხატეს პოლონეთის რესპუბლიკის საქმიანი წრეების წარმომადგენლებმა, ხოლო ამერიკელმა პიანისტმა სიუზე მატ კორნეკმა, რომელიც სპეციალურად ამ დღისათვის ეწვია საქართველოს, ოპერისა და ბალეტის თეატრში გამართა საქველმოქმედო კონცერტი და მისი შემოსავალი ქალაქის დემოგრაფიულ ფონდს შემატა.

ბორჯომი. ბორჯომელ ეროვნულ-დემოკრატებს, ეროვნულ-ფორუმის ბორჯომის ეროვნულ კომიტეტს, ბორჯომელ ინტელიგენტებს, ბორჯომელ ინვალიდებს, ბორჯომელ ბავშვებს, ბორჯომელ ბებიებს, ბორჯომელ ბაბუებს, ბორჯომელ ბიბლიოთეკარებს, ბორჯომელ ბანკირებს, ბორჯომელ ბალეტმოყვარეებს, ბორჯომელ ბალნეოლოგებს, ბორჯომელ ბალანსმცოდნეებს, ბორჯომელ ბალეტმეისტრებს, ბორჯომელ ბალეტმასტერებს, ბორჯომელ ბალეტმოცეკვეებს, ბორჯომელ ბალეტმოცეკვეებს, ბორჯომელ ბალეტმოცეკვე